# თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი

## ქადაგება

10 იანვარი 2021 წელი

უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, არის ნათელი. თუმცა მისი ნათელი არ შემოიფარგლება მისით ღვთივშეგონებული მახარებელი იოანე გვიხსნის ჩვენ: ,,სიტყვა (იესო ქრისტე)- იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად" (ინ. 1:9). მზე ამოსვლისას, ყველაფერს ანათებს, რასაც მისი სხივები აღწევს. სწორედ ასევე ქრისტე, სიმართლის მზე, როგორც იწოდება იგი შობის ტროპარში, სულიერად ანათებს თითოეულ ადამიანს, მსურველს შეეხოს მის მაცოცხლებელ სხივებს.

ეს როგორ ხდება?

შესაწირავის წინაგანმწმენდ ლიტურგიაში, რომელიც ყოველდღიურად ტარდება დიდი მარხვის დროს, შენარჩუნებულია ჩვენი ეკლესიის უძველესი პრაქტიკის ელემენტები, დაკავშირებული მასში ახალი წევრების მიღებით ნებისმიერი, რომელიც გამოთქვამდა სურვილს გამხდარიყო ქრისტიანი, თანდათანობით ერთვებოდა მორწმუნეების რიგებს, ხშირად ესწრებოდა კატეხიზმის გაკვეთილებს შემდგომ დიდი მარხვის შუაში, ეპისკოპოსი წყვეტდა, ვინ უფრო ღირსეულად მზად აღდგომაზე მოსანათლად ეპისკოპოსის მიერ არჩეულები, გადადიოდნენ ,,გასანათლებლად მომზადებულთა" რიგებში. და იმ დღიდან ეკლესია აღავლენდა განსაკუთრებულ ლოცვებს ,,წმინდა ნათლობისათვის მზადმყოფ ძმებისათვის და მათი ხსნისთვის," რათა ,,უფალმა გაანათლოს ისინი გონების განათებით და ღვთისმოსაობით" და ,,ღირსნი გახადოს განახლებისა." როგორც ვხედავთ, განათლებაში ეკლესია გულისხმობს წმინდა ნათლობას.

ერთ-ერთ ლოცვაში გამოიყენება ასეთივე ტერმინი: ,,უფალო მეუფეო, მიუწოდე მონასა შენსა შენი წმინდა განათლებისკენ," მხედველობაშია წმ.ნათლობა შემდგომ კი ნათლობის საიდუმლოში ჩვენ ვლოცულობთ ,,ახლად მომსვლელთათვის წმინდა ნათლობისათვის" და ,,მისთვის მაჩვენებელთა ძედ(ან ქალიშვილად) ნათლისა." საიდუმლოს დასრულების შემდეგ მონათლულები იწოდებიან უკვე ,,ახლადმონათლულები" და ნათლობის სამოსით შემოსილები, ისმენენ გალობას: ,,Рузу мне подахдь светлу, одеяйся светом, яко ризою." ნათლობისა და მირონცხების დასრულების შემდეგ, მღვდელი მიმართავს ახლადმონათლულს ლოცვით: ,,Оправдался еси, просветился еси, крестился еси, освятился еси." ამით ახლადმონათლული წმინდა ნათლობით გაერთიანდა ქრისტესთან, ნათელ წყაროსთან, და ნიშნავს, განათლდა თვითონაც. ამიტომაა უფალი ამბობს: ,,თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი" (მათე 5:14).

ამგვარად ქრისტე განათლების საშუალებით-ნათლობის საიდუმლოთი და მირონცხებით-ღირს ხდის ადამიანს გახდეს კაცობრიობის შვილი, ძე და შთამომავალი თავისი მეუფებისა ამას ადასტურებს ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში მოციქული პავლე: ,,რამეთუ იყვენით ოდესმე ბნელ, ხოლო აწ ნათელ ხართ უფლისა მიერ; ვითარცა შვილნი ნათლისანი, ვიდოდეთ" (ეფ 5:8). ფილიპელთა მიმართ მიმართებაში მოციქული ამბობს, რომ ისინი ,,ანათებენ, როგორც ამ ქვეყნის მნათობები" (ფილ 2:15). და როგორი მშვენიერია ჰიმნოგრაფის სიტყვები, მიმართული მორწმუნეებისადმი: ,,ჰე, შვილო ეკლესიის მნათობნო."

ვხვდებით კი ჩვენ, ძმებო და დებო, რამდენად დიდი პატივი დაგვდო ჩვენ უფალმა იესო ქრისტემ, მოგვიხმო რა თავისთან და გადმოგვცა რა ჩვენ თავისი ნათელი? მნიშვნელოვანია ისიც, რომ გვიშობა მან თავისი ნათელი, უფალმა არ მიგვატოვა. არამედ პირიქით ეკლესიაში ვართ უწყვეტ კავშირში მასთან, განუწყვეტლივ გვკვებავს თავისი ნათელით სინათლის წყარო-თავად უფალი. და სანამ მასთან კავშირში ვიმყოფებით, ჩვენ ნათლის მატარებლები ვართ თუ კი ჩვენი ერთობა უფალთან წყდება, ჩვენ ვვარდებით სიბნელეში. შედარების მიზნით მოდით მოვიყვანოთ მაგალითად ელექტროგენერატორი და

ნათურა. ნათურა ანთია სანამ მიერთებულია გენერატორთან. თუ კი რაიმე მიზეზით გაწყდება კაბელი, ერთმანეთთან შემაერთებელი, შუქი ჩაქრება.

ამიტომ, აუცილებელია, რომ ყოველი მორწმუნე ყოველთვის იყოს ქრისტესთან ერთობაში. და რაც უფრო ახლოსაა ადამიანი უფალთან, მით უფრო მეტადაა შესაბამისია მისი ცხოვრება უფლის ნებასთან, მით უფრო ძლიერად უყვარს მას ქრისტე, მით უფრო მეტად განათლებული ხდება ის. ჩვენი გონება უწყვეტად უნდა იყოს მიმართული ქრისტესკენ, როგორც მზესუმზირა, რომელიც მზის ამოსვლიდან-ჩასვლამდე ბრუნავს მზის გარშემო.

ყოველთვის ვიფიქროთ ქრისტეზე და განუწყვეტლივ მივმართოთ მას უბრალო ლოცვით: ,,უფალო, იესო ქრისტე, შემიწყალე მე." მოდით სიტყვით და საქმით მივბაძოთ ქრისტეს და ქრისტე სიხარულით იქნება ჩვენში. წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: ,,მივუახლოვდეთ ნათელს და მერე, როგორც შვილები სრულყოფილი ნათლისანი, გავხდეთ სრულყოფილი ნათელი." ასე, ქრისტეს ნათელი უწყვეტად გაანათებს ჩვენს სულებში, სანამ არ ვიქნებით მარადიულობაში უფლის სიტყვით: ,,მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა" (მათე 13:43).

ძმებო და დებო, ქრისტემ აანთო ჩვენს სულებში ღვთიური ნათლის ცეცხლი. და ჩვენი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ არ ჩავაქროთ ეს ცეცხლი. ამინ.